სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/165

ქ. თბილისი

25 სექტემბერი 2025 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით და ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათების, ფაკულტეტის 2025 წლის 18 სექტემბრის საბჭოს სხდომის №16 ოქმის, ფაკულტეტის 2025 წლის 24 სექტემბრის საბჭოს სხდომის №17 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 25 სექტემბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1 ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ინჟინერია“;
   1.2 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“.
   1.3 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები“, ხელმძღვანელები: პროფესორი სერგო შავგულიძე და ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ აბზიანიძე.
1. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**